წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

ხამშაბათი 11 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლირს . . . 25 გ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ლირს ერთი ორჯერ სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს ხაზ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.

№ 2 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 2

## მ ო წ ო დ ე ბ ა

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება ,,ჩვენი ქვეყანის" რედაქციის კანტორაში.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მცკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

### ელექტრო ,,რადიუმ" თეატრი

10 აპრილისთვის, მოწინავე ესკადრონი—სანახავი. **ინსტიტუტკა** (როცა სისხლი სჩქეფს) მშვენიერერი პიესა 5 ნაწილად. ინსტიტუტკის მთავარ როლს ასრულებს ცნობილი, დაჯილდოებული ლამაზი ქალი ფრანჩესკა ბერტინი.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 13 აპრილიდან საუცხოვო პროგრამა. **რუსეთის დიდი რევოლიუცია**, პეტროგრადის ამბები 2 ნაწილად. **ბარისონის ტუჟკი.** ნორდისკის მხატვრული დრამა 3 ნაწ. გარისონის და ევა ტომსენის მონაწ.

### ელექტრო ამპირ თეატრი

10 აპრილისთვის: ქრონიკა გომონი—მომდინარე მოვლენები. **პირველი და უკანასკნელი კოცნა** მხატვრული დრამა 5 ნაწილად ანდრე გაბესსა და მატილდა სიმარციოს მონაწილეობით სარრა ბერნარის თეატრიდან.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 13 აპრილიდან საუკეთესო პროგრამა **რუსეთის დიდი რევოლიუცია**, პეტროგრადის ამბები 2 ნაწ. **მიცვალებულნი სდუმან.** დრამა 5 ნაწ. გრუზინინისა, ბენურისა, ბეკ ნაზაროვისა და კრაიევსკაიას მონაწილეობ.

## ნიხრი აბრეშუმის თესლზე:

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ აბრეშუმის თესლზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

| | | |
|---|---|---|
| **ეკონომიდის ფირმის თესლი მისხალი** — | 1 მ. 25 კ. | **კოლოფი** 7 მ. 50 კ. |
| **კოსტანტინიდის, ზარიფიანის, ოგანის და სხვა ფირმების** | 1 მ. 8 კ. | **კოლოფი** 6 მ. 50 კ. |

ყოველგვარი თესლის შეძენა შეიძლება აბრეშუმის სადგურზე ბალის ქუჩაზე აგრონომ ქუთათელაძესთან, რომლის ნებადაურთველად აღკრძალულია თესლის გაყიდვა.

## ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

საყოველთაოთ აცხადებს, რომ პურის ქფილის, შაქრის, ყველის, გამომცხვარი პურის, საკანდიტერო ნაწარმოებთა, ბრინჯისა და მურლულის, თუ მათი წონა აღემატება 10 გირვანქას ქუთაისიდან გატანა აღკრძალულია კომიტეტის ნება დაურთველათ. აგრეთვე აღკრძალულია კომიტეტის ნებადაურთველად გატანა ქ. ქუთაისიდან ხორცეულების, საგალანტერეინო საქონლის, ტყავეულობისა და რკინეულობის რამდენი წონისაც არ უნდა იყოს იგი.

## ი ყ ი დ ე ბ ა

დიდი სარკე, დასაკიდებელი ლამპა ელექტრონის ლამპები და მათი პოწყობილობა, ელექტრონის ზარა ელემენტებით ირმის რქა და სხვა ავეჯი, კაზაკოვის ქუჩა სახლი პავლოვისა, ბინა გრინევისა, ნახვა შეიძლება საქმე დღით სამი საათიდან. იქვე ქირავდება ერთი და ორი ოთახი. 2—2

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

ვასილ წერეთელი—რევოლიუცია და ეროვნული მოძრაობა.
მედგარი—დამფუძნებელი კრება.
Lado —საკვირველი დადგენილება.
მ. ეგრისელი—ნათელი დასკვნა.
Ser. —საჭირო შენიშვნა.
კონსტიტუციურ-დემოკრატთა პარტიის ყრილობა.

**ცნობები:**

ახალი მთავრობის დეპეშები:
ომის დეპეშები.
ჟურნალ გაზეთებიდან.
ახალი ამბავი.
ეროვნული კითხვა.
მოწერილი ამბები.

## რევოლიუცია და ეროვნული მოძრაობა.

გვეუბნებიან: დღეს საერთო პოლიტიკურს ან რევოლიუციურ მოძრაობას უნდა დავუთმოთ უპირატესობა და ეროვნული საკითხი არც კი უნდა წამოვაყენოთ, რადგან ვითომ, ამგვარ მოძრაობას შეუძლია კონტრრევოლიუცია გამოიწვიოს.

მხოლოდ ამით აიხსნება, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ რომ კონტრრევოლიუციურადგამოაცხადა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა.

მაგრამ საბჭოს ამგვარი ნაბიჯი—ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან, ჯერ ერთი, ავტონომიას მოითხოვენ არა მარტო ჩვენში, არამედ უკრაინაში, ლიტვაში, ესტონეთში და სხ. ამ მოძრაობას პეტროგრადის დროებითი მთავრობა თანაგრძნობით ეგებება. და, მაშასადამე, რატომ უნდა იქნეს მიჩნეული ჩვენში კონტრრევოლიუციურ აქტად ის, რაც სხვაგან აღსარებულია რევოლიუციურ აქტად?

მეორე, ავტონომია რევოლიუციის შედეგია. რევოლიუცია მოასწავებს ხალხის თვითმოქმედებას, ე. ი. ხალხის მიერ თავისი გამგებლების არჩევასადა, საზოგადოდ, თავისის ადგილობრივი საქმეების მოწესრიგებას. მოჰკალით ხალხის ავტონომიური თვითმოქმედება და მოჰკვდება რევოლიუციაც.

მესამე, ეროვნული ისეა ჩაქსოვილი და შეხორცებული პოლიტიკურთან, რომ შეუძლებელია გაავლო საზღვარი ამ ორ სოციალურ მოვლენას შორის. 1848 წ. ავსტრო-უნგრეთში რევოლიუცია იყო ერთსადაიმავე დროს პოლიტიკური და ეროვნული. იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობა წარსული საუკუნის მეორმოცე-მესამოცე წლებში იყო ერთსადაიმავე დროს დემოკრატიული და ეროვნული. პოლონეთის მოძრაობანი და აჯანყებანი მეთვრამეტესა და მეცხრამეტე საუკუნეებში იყო აგრეთვე ეროვნულიცა და დემოკრატიულიც. ასეთივე იყო და არის დღესაც ირლანდიის პოლიტიკურ-ეროვნული მოძრაობაც.

მაშასადამე, ეროვნული მოძრაობა სტიქიურია, აუცილებელია, ზედერთვის დემოკრატიულსა, განუყოფელია უკანასკნელისაგან.

აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა: ეროვნული მოძრაობა აღრმავებს რევოლიუციასა, განამტკიცებს რევოლიუციის მიერ მოპოებულ შედეგებს და, პირიქით, ბრძოლა ეროვნულ მოძრაობასთან—კონტრრევოლიუციური მოქმედებაა.

დასასრულ, ვისაც ეროვნული მოძრაობის ალაგმვა განუზრახავს, როგორ არ უნდა გაიგოს, რომ რამდენისამე თვის შემდეგ წავრსდგებით დამფუძნებელი კრების წინაშე, რომელსაც ექნება გადასაწყვეტი უდიდესი ეროვნული პრობლემა?! ხოლო ხელცარიელნი და მოუმზადებელნი თუ წავრსდგებით, როგორი იქნება დამწესებელი კრების ამშენებლობითი მუშაობა? ცხადია, რომ ეს კრება, თუ კი ყურად არ იღებს ეროვნულ საკითხს, შექმნის მხოლოდ საფრანგეთისებურ რესპუბლიკას, რომელსაც, ეწოდება „უმონარქო მონარქია".

გაიგეთ, მოქალაქენო, რომ რუსეთის რესპუბლიკა არა თუ არ დაირღვევა, არამედ გამაგრდება და გაერთიანდება, თუ ავტონომიის საფუძველზე იქნება აშენებული. ვერ ხედავთ, როგორ ეხმარებიან ინგლისს ავსტრალია, კანადა და სხვა ავტონომიური ახალშენები?! სხვერპლი, რომელიც შესწირეს ამ ავტონომიებმა, არ არის შედარებით იმაზე ნაკლები, რაც გაიღეს თვით ინგლისელებმა.

და, ცხადია, რომ, როდესაც რუსეთის განაპირა ქვეყნებს ავტონომიური თვითმართველობა ექნებათ, ისინი მეტი თავგამოდებით დაიცავენ რუსეთის მთლიანობას.

კერძოდ საქართველო მოითხოვს ეროვნულტერიტორიულს პოლიტიკურ ავტონომიას იმ საფუძველზე, რომელიც 1783 წ. ტრაქტატით არის განსაზღვრული. ამ ხელშეკრულობის ძალით საქართველომ ხელი აიღო საგარეო პოლიტიკაზე და რუსეთის საერთო სამხედრო თადარიგისა და მოქმედებისათვის უნდა შეერიგებია თავისი სამხედრო თადარიგი და მოქმედება, შინაურს საკანონმდებლოსა და საგამგებლო ცხოვრებაში კი—ავტონომიური, ე. ი. დამოუკიდებელი, უნდა ყოფილიყო.

ეს არის ჩვენი მოთხოვნა, თვინიერ რომლისა არ იქნება არც თავისუფლება, არც ერთობა, არც სამართლიანობა, არც ძალა და არც არაფერი სხვა სიკეთე, რაც რევოლიუციამ აღგვითქვა.

ვასილ წერეთელი.

## დამფუძნებელი კრებისათვის.

რუსეთის განაპირა ერები უკვე აქტიურათ ჩაებენ რევოლიუციის ფერხულში. მათ განავითარეს რევოლიუცია და გარდაქმნეს თავიანთი პოლიტიკური ცხოვრება რევოლიუციით მოპოებულ საფუძვლებზე. პირველი აქტი მათი რევოლიუციისა იყო ეროვნული კრების მოწვევა, რომელმაც შეიმუშავა ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები მომავალი ავტონომიისა. ეროვნულ კრებაზე დამუშავებული დებულებანი ეცნობა განსაკუთრებული დელეგაციის პირით რევოლიუციონურ ახალ მთავრობას პეტროგრადში, რომელიც სიამოვნებით, თანაგრძნობით, და დახმარებით შეხვდა ეროვნულ დელეგაციას. რუსეთის ყველა ერმა სთქვა თავისი სიტყვა. ჯერი ეხლა ჩვენზე.

არც ერთი ერი რუსეთისა არ განირჩევა იმპერიის სხვა მცხოვრებთაგან ისე, როგორც ქართველობა: სომათიურათ, ისტორიულათ და კულტურულათ იქნება ეს თუ ეკონომიური ცხოვრების ინტერესების მიხედვით. სწორეთ ეკონომიურათ ჩვენი ინტერესები საშინლათ იქნება შელახული მომავალში, თუ აქედანვე არ იქნა განსაზღვრული, თუ რა ზომები, რა საშუალებანი შეუძლია გამონახოს მომავალმა ავტონომიურმა საქართველომ თავისი მშრომელი ხალხის ინტერესების უზრუნველ საყოფათ. ჩვენში ვაჭრობა და მრეწველობა ახალი ფეხ ადგმულია და თხოულობს ფრიად სათუთად მოპყრობას რომ რაიმე უხეში კატაკლიზმით ნასახშივე არ ჩაირჩოს. ასეთ გამოურკვევლობის დროს სხვა და სხვა პარტიები სულ სხვა და სხვანაირ გეზს აძლევენ თავიანთ პოლიტიკურ გამოსვლებს, ზოგი მათი გამოსვლა პირდაპირ აშკარათ საზიანოა ჩვენი ეკონომიკისათვის. მაგ. ავიღოთ ის დებულება, რომელიც ეხებოდა თფილისის საერთაშორისო ქალაქათ გამოყოფას. თუ ეს ასრულდა, მთელი ჩვენი ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთთან და აღმოსავლეთ ქვეყნებთან საშინლათ გაძნელდება, პირდაპირ დაბრკოლდება, რადგანაც მაშინ თფილისს, როგორც უკვე სრულიათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულს, ექნება უფლება და საჭიროებაც განსაკუთრებული გადასახადი შემოიღოს ყველა იმ საქონელზე, რომელიც კი გაივლის თფილისის სადგურზე. ეს თუ გააძვირებს საქონელს, თორემ არ გააიაფებს მაშასადამე ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას ამით ზედმეტი დაბრკოლება გაუჩნდება ნაცვლათ ხელის შეწყობისა. ამას გარდა საერთაშორისო ქალაქები უკვე მოისპო მთელს ევროპაში, როგორც ძველი ფეოდალობის ნაშთი. ჰამბურგისა, ბრემენისა, ლიუბეკისა და სხვ. მდგომარეობა გერმანიის იმპერიაში (თავისუფალი ქალაქები, „ფრაიშტედტე") სრულებით არაა საერთაშორისო, პირიქით მჭიდრო სახელმწიფოებრივია, დაქვემდებარებული მხოლოდ გერმანიის სახელმწიფოებრივ საერთო წესს. ამას გარდა თფილისის საერთაშორისო ქალაქათ გადაქცევა გადასცემს თფილისს ფაქტიურათ უცხო ტომს ხელში, რომელიც შემდეგ არავითარ საშველს, გასაქანს არ მისცემს ჩვენს ქართველ მშრომელ ხალხს, ყოველგვარათ შეზღუდავს მას ეკონომიურათ და უფლებრივათაც. არის კიდევ საკითხი შესახებ ჩვენი დამოკიდებულებისა სხვა ჩვენს მეზობლებთან, რომლის გადაწყვეტა არც ერთ პარტიას არ შეუძლია ცალკე და დამოუკიდებლივ. ასეთი საკითხების განხილვა და მით უმეტეს მათი გადაწყვეტა მხოლოდ ერის სურვილთა და ნებით უნდა მოხდეს. მაშასადამე თვით ქართველ ხალხს, მთელ ერს უნდა მიეცეს საშუალება გამოსთქვას თავისი აზრი ყველა საჭირბოროტო საკითხებზე. უნდა იქნეს მოწვეული ეროვნული კრება თბილისში, ამ კრებაზე წარმომადგენლების არჩევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოში მცხოვრებ ყველა ერმა, რომ მათი ინტერესიც იქნეს კრებაზე დაცული. არჩევნები უნდა მოხდეს საქართველოს იმ საზღვრებში, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამაში. ეროვნული კრება შეიმუშავებს საერთო სახელმძღვანელო პრინციპებს შესახებ საქართველოს პოლიტიკურათ მოწყობისა მომავალში. ამით მას ერთგვარი დამფუძნებელი კრების ხასიათიც ექნება. მის საშუალებით ქართველი ხალხი მომავალ სრულიათ რუსეთის დამფუძნებელ კრებას წარუდგება როგორც ერთი მთლიანი ერი შეურყეველი ნებისყოფით. ჩვენი დეპუტატების სიტყვას იქ მაშინ გაცილებით მეტი სიმძიმე, მეტი მნიშვნელობა მიენიჭება. ეროვნული კრება თფილისში თუ ადგილობრივი საკითხების დამუშავებას, გადაწყვეტას შეუდგება, რასაკვირველია, ზომების გამონახვისათვისაც იზრუნებს თუ რა რიგათ მოეწყოს სამართლის წარმოება და სწავლა განათლების საქმე ჩვენში რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რომელიც შესაძლოა ძალიან დაგვიანდეს და, თუ მას დავუცადეთ ხალხი შესაძლოა უკანონოთ და უსამართლოთ დავსაჯოთ. ეროვნული კრება იქნება საუკეთესო დამხმარე ორგანო კავკასიის კომისარიატისათვისაც ეროვნულ

კრების დადგენილებანი, რასაკვირველია, წამსვე უნდა ეცნობოს ახალ რევოლიუციონურ მთავრობას განსაკუთრებულ დელეგაციის საშუალებით. და უნდა დაკანონდეს მომავალ რუსეთის დამფუძნებელ კრების მიერ. ეროვნული კრება ვერ გადასწყვეტს საბოლაოთ რუსეთისა და საქართველოს ავტონომიის ურთი-ერთ შორის დამოკიდებულების საკითხს, რომლის საბოლაო გადაწყვეტა მოხდება რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე პეტროგრადში საქართველოდან გაგზავნილ დეპუტატების თანამშრომლობით.

რევოლიუციამ წარმოშვა რუსეთის ერებში ეროვნული კრებები და მისცა ამით საშუალება ერებს, თავიანთი პოლიტიკური პროგრამა მკაფიოთ და მთლიანათ წარედგინათ რევოლიუციონურ მთავრობისათვის. საქართველო ჩამორჩა რუსეთს. ეროვნულ მიმართულებათა პირდაპირი ვალდებულებაა რევოლიუცია საქართველოშიაც გაავითარონ.

**მედგარი.**

# საკვირველი დადგენილება.

ვამბობ საკვირველი დადგენილებაა მეთქი და არა მგონია, რომ ყველა მოწინავე და დადებითათ მოაზროვნე ადამიანი ამაში არ დაგვეთანხმოს, როცა ამ დღეებში გამოქვეყნებულ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შეთანხმებულ დადგენილებას გადაიკითხავს.

დიახ, ამ თავისუფლებისა და განახლების მომენტში მეტად და მეტად საკვირველი დადგენილების მოწამენი ვხდებით, რაშია საქმე?

5 აპრილს, მუშათა და ჯარის ქაცთა დეპუტატების საბჭოების შეერთებულ კრების დადგენილებაში ვკითხულობთ:

„მოქმედება ნაციონალ-დემოკრატებისა და სოციალ ფედერალისტებისა არსები თდ კონტ-რევოლიუციონერთა და ამიტომ დაადგინეს: მოიწვიონ ეროვნულ პარტიების წარმომადგენელნი და მოსთხოვონ დაუყონებლივ შესწყვიტონ ნაციონალისტური ქადაგება და დაითხოვონ ქართველ მხედართა კავშირი: თუ ეს მოთხოვნილებანი არ აასრულეს, ნაციონალისტთა წარმომადგენელნი დათხოვნილი უნდა იქნენ სარევოლიუციო მართვა-გამგეობის ორგანოებიდან. დაადგინეს აგრეთვე აღიკრძალოს ეროვნულ კითხვის შესახებ საჯაროთ ლაპარაკი“.

გავბედავთ და ვიტყვით, რომ ჩვენ მთელის ჩვენის ენერგიით უარვყოფთ ასეთ დადგენილებას. რა ვქნათ! შეიძლება დიდი სასჯელიც კი მოგველოდეს ამ გაბედვისათვის, მაგრამ მიღება, შეწყნარება ასეთი რამესი ყოვლად და ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი უნდა ვსთქვათ, ვინაიდან ამას გვავალებს უფლება ყოველი პატარა ერის სიცოცხლის აღიარებისა. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიკითხოთ, რა დროს აწვდიან ხალხს ასეთ დადგენილებებს? საქართველოში ქართველ მოქალაქეთ თავის ეროვნულ ტკივილებზე ლაპარაკს უკრძალავენ იმ დროს, როდესაც უკრაინელებს, თვით მათ სოციალ-დემოკრატებს გამოაქვთ ასეთი შინაარსის რეზოლიუციები: „ეხლავე, დაუყონებლივ მოითხოვონ უკრაინის ტერიტორიული ავტონომია“; როდესაც კიევში ამავე უკრაინელთა კრებაზე დაადგინეს და საჯიროთ გამოაცხადეს: „უკრაინის ავტონომიის განხორციელება ყოველი ღონით და საშუალებით დაუყონებლივ მოითხოვენ, ხოლო დასტურისათვის ეს საკითხი დამფუძნებელ კრებას წარუდგინონ“.

დამუქრებით მოითხოვენ, არ გავბედოთ ეროვნულ საკითხებზე ლაპარაკი, იმ დროს, როდესაც ესტონელები იმუშავებენ საზღვრებს თავის ქვეყნისას, კანონების პროექტებს, რომ სულ მალე დამფუძნებელ კრებას წარუდგინონ დასამტკიცებლათ ჩვენში ეროვნულ სახის დამცველთ კონტრ-რევოლიუციონერის სახელით ნათლავენ იმ დროს, როდესაც ფინეთის ხმა მედგრათ გაისმის კაცობრიობის წინაშე და ადგენს: ფინეთის ხალხი მიისწრაფვის მეტ დამოუკიდებლობისაკენ და ამიტომ მან ყოველი ღონე უნდა იღონოს, რათა დაიცვას და გააფართოვოს მოპოებული თავისუფლება.

პოლონელები?.. მაგრამ დავანებოთ თავი, ვინაიდან მათზე ძალიან ბევრი ითქვა და ყველამ იცის თუ როგორი საპატიო ბედილი დაიჭირა ამ ერმა.

ჩვენში ყველაფერი უკუღმა კეთდება. ჩვენ ყოველთვის ცოდვათ გვეთვლება ის, რაზედაც დღეს თავისუფლათ შეუძლია ყველა აქ ნახსენებმა და კიდევ ბევრმა ჩვენზედ უფრო უუფლებო ერებმა ილაპარაკონ.

რა ვქნათ?

ვიმეორებთ, საკვირველი დადგენილებაა, მეტად საკვირველია და ამასთანავე ღრმად ჩამაფიქრებელი.

**Lado**

# ახალი მთავრობა

**სამხედრო მინისტრის მოწოდება ჯარის კაცებისადმი.**

პეტროგრადი, 8 აპრილი. ჯარის კაცნო! მთელი რუსეთი გულდაწყვეტილია ფრონტიდან მიღებულ სამწუხარო ცნობების გამო. განახლებულ რუსეთისა და მის დამცველ ჯარის ძალა მიღებულ თავისუფლების დაცვასა და გარეშე საფრთხის აცილებას უნდა მოხმარებოდა. ამის ნაცვლად კი ჯარში ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომელიც სრულიად თიშავს ძალებს, სახელდობრ ჯარიდან გაქცევა (დეზერტირობა). ეს მოვლენა სახიფათო ხასიათს ღებულობს.

ამის მიზეზია განსაკუთრებით ჯარში გავრცელებული ბოროტი მოწოდება, თითქო მიწის გაყოფა ახლავე უნდა მოხდეს და თითქო მხოლოდ ის იქნება გაყოფის მონაწილე, ვინც ამ დროს შინ იქნება.

ჯარის კაცნო, ჯარის მიტოვებით ნუ ასუსტებთ მის ძალას და ნუ დაუჯერებთ მტრების მიერ გავრცელებულ ხმებს! გახსოვდეთ, თავისუფალ რუსეთის მიწის ახალ საფუძველზე მოწყობის საქმე დროებით მთავრობის დეკლარაციის თანახმად მხოლოდ დამფუძნებელ კრების მიერ ჩვენ წარმომამადგენელთა მონაწილეობით გადაწყდება. ხოლო ამ კრების საჩქაროდ მოსაწვევად ყოველგვარი ზომებია მიღებული.

თუმცა ჯარის შეგნებული ნაწილი მედგრად ეწინააღმდეგება ჯარის დატოვებას მაგრამ სამშობლოსათვის სუბედუროთ ჯარში ისეთი ჯარის კაცებიც ურევია, რომელთაც თვისი მოვალეობა ამხანაგების წინაშე დაუვიწყნიათ და სურთ მიატოვონ იმათი წყება ვინც სამშობლოსათვის სისხლსა ღვრის.

უნდა ვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი რუსეთის სამხედრო ძალის ხელშეუხლებლად დაცვას თხოულობს. ჩვენი მტერი არავითარ საშუალებას არ ერიდება თვისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. თავისუფალი რუსეთი დარწმუნებულია, რომ მისი შვილები, მოქალაქე ჯარის კაცნი აასრულებენ თვის მოვალეობას რუსეთის წინაშე. ხიფათის დროს, რომელიც მას მოელის, რომ ისინი არ დაასუსტებენ მის ძალებს ჯარიდან გაქცევით; ხოლო თქვენ სულით ძლიერო, რომელნიც ანგარიშს უწევთ იმას, თუ რა ხდება, შეაჩერეთ სუსტი და მერყევნი. დაუშალეთ მათ, ცუდი საქციელი რომლის გამო მერე თვითონ შერცხვებათ. ლოზუნგს „ყველაფერი თავისუფლებისთვისო“ უნდა მისდევდეს ძახილი „ყველაფერი გამარჯვებისათვის“.

ამ საძნელო ხანაში ჯარის დატოვება სამშობლოს ღალატია, ესაა უარყოფა იმ თავისუფლებისა, რომელიც ბრძოლით მოვიპოვეთ.

**დროებითი მთავრობის დადგენილება თურქესტანის მართვა გამგეობის შესახებ:**

**პეტროგრადი.** 7 აპრილს. მტკიცე წესრიგის დასამყარებლად და თურქესთანის მხარის მოსაწყობად იმ საფუძვლებზე, რომელიც გამოცხადებული იყო საყოველთაოდ დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის 6 მარტს, აგრეთვე ყველა სამართველო კითხვების ადგილობრივ გადასაწყვეტად ინიშნება თურქესტანის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან: სახელმწიფო სათათბიროს წევრი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე შჩეპკინი, მეორე ს. სათათბიროს წევრი მუქამელკან ტივაშნაევი, მესამე სათათბიროს წევრი სანდრე ნიაჩამესძე მაქსუტოვი, ვლადიმერ სერგის ძე მლპატიევსკი, ალექსანდრე ლავრენტისძე ლიპოვსკი, პავლე ივანესძე პრეობრაჟენსკი, ორესტი ავენირისძე შკანსკი და გენერალ-მაიორი აბდოლ აზისისძე დავლეტშინი.

2). ხსენებული კომიტეტის თავმჯდომარის რწმუნებულობა ეკისრება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შჩეპკინს.

3). ხსენებული კომიტეტი იმოქმედებს დროებითი მთავრობის რწმუნებულობით თურქესტანისა, სამარყანდისა, ფერგამისა, კასპიის ზღვის იქეთა და შვიდი მდინარის (სემირეჩიე) ოლქებში. აგრეთვე ქივასა და ბუქარაში.

**სამხედრო პირთა დაწინაურება.**

**პეტროგრადი,** 8 აპრილი. მთავარმა შტაბმა შეიმუშავა პროექტი, რომლის ძალით ყველა ის პრაპორშჩიკები. რომელთაც სამხედრო განათლების ცენზი არა აქვთ. პოდპორუჩიკად, კორნეტად და ხორუნჯად ინიშნებიან სამსახურში 9 თვის ყოფნის შემდგომ.

**თავისუფლების სესხისთვის ხელის შეწყობა.**

**პეტროგრადი** 8 აპრილი. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 21 ხმის უმეტესობით 14-ის წინააღმდეგ დაადგინა, ყოველნაირად შეუწყოს ხელი დროებით მთავრობის მიერ გამოცემულ თავისუფლების სესხს.

**დროებითი მთავრობის დადგენილებანი**

**პეტროგრადი** 8 აპრილი. 1) გაუქმებულ იქნას საკუთრად მისი იმპ. უდიდ. კანცელარია და სამოქალაქო უწყების მოხელეთა სამსახურისა და ჯილდოების გამგე კომიტეტი.

2) ყოველ საკუთრად მისი იმპ. უდიდ. კანცელარიისა და მისი საინსპექტორო განყოფილების არქივი სახელმწიფო არქივს გადაეცეს.

3) პირველი ოთხი კლასის მოხელეთა სიების გაუქმება.

4.) ადრეს-კალენდარის გამოცემა დაავალოს უმართ. ბულესი სენატის მესამე დეპარტამენტს, პირადი შემადგენლობისა და საკანცელარიო საშვალებათა შესაფერი გადიდებით იმ თანხიდან, რომელიც გადადებულია ადრეს-კალენდრის გამოსაცემად 5.) 1897 წლის 13 დეკემბრის უმაღლესი ბრძანების ძალით საკუთარი მისი იმპ. უდიდებულესობის კანცელარიისთვის მიჩენილი 500 000 მანეთი ახალ გაკეთებულებით უნდა გადაეცეს იმ დაწესებულებას, რომელიც მომავალში ყოფილ, თხოვნების მიმღებ კანცელარიის საქმეებს განაგებს.

6). პირველ მუხლში მოხსენებულ დაწესებულებათა სამსახური, გარდა სენატს დეპარტამენტში გადაყვანილებისა, საერთო ბრძანების ძალით შტატს გარეშე უნდა დატოვონ.

**სამხედრო და საზღვაო სამინისტროს ბრძანება.**

**პეტროგრადი.** 8 აპრილი. დროებითი მთავრობა თავისსმიმართვაში მოქმედ ჯარისადმი მოუწოდებდა ჯარს, სამშობლოს დასახსნელად და მოპოებულ თავისუფლების შესანახად დაეცვათ მკიდრო შინაგანი წესრიგი და არავითარი ცვლილება არ ყოფილიყო გარეშე დროებითი მთავრობის განკარგულებისა. მე კი ცნობები მომდის რომ სხვა და სხვა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები და საბჭოები ოფიცრებს ატუსაღებენ და მათ ნაცვლად სხვა პირებს ნიშნავენ მთავარმა უფროსებმა კი ამაზე არაფერი იციან. მე ჯარისა და ფლოტის ინტერებს ვიცავ და ამიტომ ვცდილობ რომ ჯარისკაცებისა და მატროსების სამოქალაქო უფლებები მტკიცედ იქნეს დაცული, მაგრამ ამასთანავე არ შემიძლია ვისმე ნება მივცე როგორცაა ოფიცერთა დატუსაღება. მომავალში კი წინადადებას გაძლევთ ყოველგვარი თქვენი პრეტენზია თქვენს უფროსებს აცნობოთ, მაგრამ ამასთანავე უნდა გქონდეთ ყოველმხრივად გამოცემული საბუთი ბრალდებისა ყოველი პირის მიმართ. მაფრთხილებთ ახალი წესრიგის მოწინააღმდეგე უფროსთ დიდი სასჯელი მოელის, მაგრამ არა ნაკლებ სასტიკად დაისჯება ის, ვინც თვითნებობით იმოქმედებს მათ მიმართ.

სამხედრო მინისტრი გუჩკოვი.

**ხელის მოწერა თავისუფლების სესხზე**

**კიევი** 7 აპრილს ადგილობრივ დიდ ბანკებს დეპეშით მოსდის თხოვნები სხვა ქალაქებიდან თავისუფლების სესხზე წინასწარ ხელის მოწერის შესახებ მილიონითა და მეტითაც. მრავალმა სამრეწველო ორგანიზაციამ თავს იდვა სესხზე დიდი თანხით კოლექტიური ხელის მოწერის მოგვარება.

**ოდესა** 7 აპრილს სესხზე ხელის მოწერის პირველ დღეს შემოვიდა 2,600 000 მანეთი, ხოლო ეს თანხა წინასწარ ჩაწერილ თანხასთან ერთად ხუთ მილიონამდე ადის.

**რუსეთი.**

**მინსკი.** 9 აპრილს ბრძოლის პირის ბანაკიდან: ბრძოლის ველისაკენ მიმართული ქუჩები სავსეა ხალხითა და ჯარისკაცებით, რომელნიც დეპუტატების ჩამოსვლას ელიან. როძიანკოსა და დეპუტატებს ხალხი ხანგრძლივი „ურა“-თი შეეგება. ეს მსვლელობა ხალხისა და ჯარისკაცთა დღესასწაულად გადიქცა. ხალხი თხოულობს პირველი რუს მოქალაქის ნახვას. კომისარიატის წინადადებით როძიანკო სათეატრო მოედანზე გამოვიდა და სიტყვა წარმოსთქვა, მიუხედავათ წვიმისა, რომელიც კოკისპირულად მოდიოდა ნახევარი საათის განმავლობაში. როძიანკოს სიტყვამ ხალხში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მერე როდიჩევმა ილაპარაკა. ხალხი მერე კიდევ დიდხანს ეხვია თეატრს. თუმცა დეპუტატებიც წასული იყვნენ და წვიმაც მოდიოდა.

**უცხოეთი.**

პორტუგალია

**ლისაბონი.** 8 აპრილს მინისტრ-პრეზიდენტმა ალმეიდამ გამოაცხადა: კაბინეტი გადადგა, რადგანაც დეკრეტების პალატამ ეროვნულ-ეკონომიური საბჭოს დაწესებულებანი დააუქმა.

ემირის მანიფესტი

**ახალი ბუხარა.** 8 აპრილი ემირმა მანიფესტი გამოსცა, სადაც ის ხალხს პირდება მართვა-გამგეობის ყოველი დარგის გაუმჯობესობას, ბოროტ მოქმედებათა აღმოფხვრას და მხარის მართვას არჩეულ პირთა საშუალებით. ხალხისავე სურვილის თანახმად მანიფესტის ბოლოს გაცემულია ბრძანება პატიმართა განთავისუფლების შესახებ.

# რუსეთის რევოლიუცია.

**„შავ ყორნებს“ არ სძინავთ.**

ქ. ტირასპოლში მემარჯვენეთა ადგილობრივი ჯგუფს ებრაელების პოგრომის მოწყობა განუზრახავს ამაში მონაწილეობას იღებდა თურმე პოლიციელი, ქალაქის გამგეობის წევრი კირილიუკი და ისპრავნიკად ნამყოფი სერგეევი, რომელსაც გაჩხრეკამდე განუცხადებია: „თუ ერთ ტყვიას მაინც მიპოვით ჩამომახრჩეთო“. მის ბინაზე ყუთებში, რომლებსაც ეწერა: „მაკარონი“, 12 ათასი ტყვია, 70 რევოლვერი, 80 ვინტოვკა, 3 ყუმბარა და ხმლები აღმოუჩენიათ. შავრაზმელებს შეუკრავთ პოლიციელის შვილი და სახლის სახურავზე დაუდვიათ, ვითომც ის ებრაელებს მოეკლათ, რათა მაცაში მისი სისხლი გაერიათ. ეს მოგონილი მკვლელობა უნდა დაეხვიათ ხელზე და ებრაელთა დარბევა დაეწყოთ, მაგრამ საბედნიეროდ ამ შავ ძალებს ხელი შეუშალეს.

**იუდათა ლაშქარი.**

სარატოვის გუბერნიაში დაუტუსაღებიათ პროვოკატორი ალიმოვი, რომელსაც მინდობილი ჰქონია კერენსკისათვის ედევნებია თვალყური. ამავე გუბერნიაში დაუტუსაღებიათ 4 სხვა პროვოკატორი.

კიევში დაუტუსაღებიათ 10 ჯაშუშპროვოკატორი, რომელთაგან შესანიშნავია ერმაკოვი. ეს პირი უკანასკნელ ხანს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეობდა. მისი მოქმედება აშკარად იქითკენ იყო მიმართული, რომ განხეთქილება გამოეწვია მუშებსა და ჯარისკაცთა შორის.

სიმბირსკში დაუტუსაღებიათ 6 პროვოკატორი; ნოვო ჩერკასში სამი. ეს სია ერთი დღისაა.

# მსოფლიო ომი.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 8 აპრილი. ოფიციალი. საარტილერიო სროლის გარდა არაფერი საყურადღებო არ მომხდარა.

**ლონდონი.** 7 აპრილი. 4 აპრილიდან ჩვენ წინ წავიწიეთ ვადიგუტკის ჩრდილოეთით, ავიღეთ და გავამაგრეთ ოსმალების წინ წამოწეული პოზიციები ათი კილომეტრის სიგრძეზე დაახლოვებით. ოპერაციის დროს მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე გემებიც. ბრძოლა გრძელდება.

**ლონდონი.** 7 აპრილი. ოფიციალი. ღამის განმავლობაში. ჩვენ წინ წავიწიეთ ვილირგიუსლენის მიდამოებში. დანარჩენ ადგილებში საყურადღებო არა მომხდარა რა.

**პარიზი.** 7 აპრილი. ოფიციალი. ორივე მხრიდან სწარმოებდა სასტიკი საარტილერიო სროლა. უაზის სამხრეთით მდ. ენის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევდა შმეკლედიდის მიმართულებით, და დავიკავეთ სოფ. სანორ.

დაახლოვებით 6 საათზე გერმანელებმა აიგიურტების მიდამოებში ჩვენზე მოიტანეს ძლიერი [illegible] სარტილერიო ცეცხლის დაშვებით. იერიშის მოტანის დროს მონაწილეობას ღებულობდა მოპირდაპირის ქვეითა ჯარის ძლიერი ნაწილი. იერიშები მოგერებულ იქნენ არტილერიისა და ტყვის მფრქვევლთა საშუალებით. შამპანში ხელთ ვიგდეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილი. მიუხედავათ იმისა, რომ მტერი დიდს წინააღმდეგობას გვიწევდა, 3 აპრილიდან დავატყვევეთ 19000 კაცი და ხელთ ვიგდეთ 100 სამხედრო იარაღი. არგონებში ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენები შეიჭრენ მტრის თხრილებში და დაიკავეს იგინი. ჩვენს სამხედრო მოქმედებას ბრწყინვალე შედეგები მოყვა. დავიკავეთ რამდენიმე თხრილი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 60 კაცი უმეტესად გერმანელები. აღმოსავლეთით შევაჩერეთ მტრის ორი იერიში.

**პარიზი.** 7 აპრილი. ოფიციალი. სენკანტენის სამხრეთით მოპირდაპირის არტილერია მთელი ღამის განმავლობაში განაგრძობდა ინტენსიურს მოქმედებას ჩვენი არტილერია ენერგიულად უპასუხებდა. ლაფფოს მიდამოებში ჩვენ წინ წავიწიეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 40 კაცი. შევაჩერეთ მტრის რამდენიმე კონტრიერიში.

ბრძოლის დროს ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით ჩვენ დავიკავეთ გერმანელების თხრილები. ლუარას აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 250 კაცი. შამპანში მტერი განაგრძობდა ღამის განმავლობაში კონტრიერიშების მოტანას. გერმანელებმა ძლიერის ძალებით სამჯერ განაახლეს კონტრიერიშები. მტერმა დიდი ზარალი ნახა. წამოვიყვანეთ 20 ტყვე.

3 აპრილს ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელების 10 ჰაეროპლანი და 2 აეროსტატი.

**ჰავრი.** 7 აპრილი. ოფიციალი. სეიუი ვეკერსერკეს მიდამოებში გავფანტეთ მტრის მზვერავი რაზმი. ხელთ ჩაგვივარდა რამდენიმე ჯარის კაცი.

**იტალეთის ასპარეზი.**

**რომი.** 7 აპრილი. ოფიციალი. არტილერია ძლიერად მოქმედებდა. მტრის არტილერია სროლას განაგრძობდა კარსოს ჩრდილო ნაწილში. ჩვენმა საფრენებმა ჩამოყარეს ყუმბარები რკინის გზის სადგურთან. მფრინავები უვნებლად დაბრუნდენ.

**მესოპოტამიის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 7 აპრილი. ოფიციალი. 5 აპრილიდან ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ გრძელდებოდა. ოსმალების მე-8 კორპუსი თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდა. 5 აპრილს ჩვენ იერიშები მივიტანეთ ხსენებულ კორპუსის უმთავრეს პოზიციებზე სადგურ ისტაბულატიდან დაწყებული მდ. ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე 19 კილომეტრის სიგძეზე. მტერი სასტიკად დამარცხდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 7 აფიცერი, 1217 ჯარის კაცი. ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიის მფრქვეველი და მრავალი სამხედრო იარაღი ჩვენი მხრით დაიღუპა 73 კაცი.

**სადესანტო ოპერაციის მოლოდინში.**

**რიგა.** 7 აპრილი. ლიბავიდან მოსული ცნობებით გამოჩენილან ზღვაში მტრის გემები დესანტებით. რომელი მიმართულებით გაემგზავრებიან, ან რა მიზნით ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ესპანეთის ფლოტის დანაკლისი.**

დღიდან გერმანელების მიერ დაუნდობელ წყალქვეშ ომის გამოცხადებისა, ესპანეთის მარტო სავაჭრო ფლოტს დაჰკლებია ერთი მეოთხედი ნაწილი თავისი შემადგენლობისა.

**გერმანელი სოც.-დემ. და ზავი.**

გერმანელ-სოციალ-დემოკრატთა ცენტრალი ორგანო „ფორვერტსი“ კატეგორიულად უარყოფს იმ ხმებს, ვითომც გერმანელ სოც.-დემოკრატების ბელადებს ნეიტრალ-ქვეყნებში ზავის ჩამოგდების შესახებ თათბირი ჰქონოდათ რუს სოც.-დემოკრატებთან.

## ახალი ამბავი.

✦ **ახალი კავშირი.** აზოვ-დონის ბანკის მოსამსახურენი სთხოვენ ქუთაისის ბანკების ყველა მოსამსახურეებს დაესწრონ ხვალ 11 აპრილს კრებას სააღგილმამულო ბანკში 7 საათზე კავშირის დასაარსებლად.

✦ წელს შესრულდა 10 წელ. 80—99 იან წლების ცნოილ პუბლიცისტ ფელეტონისტის დავით კეზელის (დავით სოსლანის) გარდაცვალებიდა.ნ

✦ როგორც გაზეთ „საქართველო„-ს საკუთარი კორესპონდენტი აცნობებს სადღაც დამალულა სოხუმის ქალაქის საბჭოს მდივანი კუხელეიშვილი, რომელსაც ჯაშუშობა ბრალდება.

✦ გამოვიდა სოციალ დემოკრატ ავტონომისტების ორგანო ხალხის ერთობის მეორე ნუმერი. გაზეთში დასტამბულია ივანე გომართლის ვრცელი წერილი, ისევ ტერიტორიულ ავტონომიის შესახებს.

✦ კავკასიის კომისარიატს წევრს კიტა აბაშიძეს დაევალა წინასწარ გაეცნოს და განიხილოს ძველ მთავრობის ოფიციოზად ყოფილ გაზ. კავკაზი "სა მოწესრიგების საქმე." კავკაზი" გადადის კავკასიის კომისარიატის განკარგულებაში.

✦ თბილისს ჩავიდნენ ი. ქუთათელაძე და აგრონომი დანილევსკი ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დავალებით უნდა წარუგდენენ ამიერ კავკასიის კომიტეტს და სთხოვონ: მიუცილებლად საჭიროა მთავრობა დაეხმაროს სოფლებს და ბლომათ დაათესვინონ მინდვრები. ამისთვის საჭირო იქნება მიაშველონ მეურნეებს ზოგიერთ ნაწილების ჯარის კაცნი და სამხედრო ცხენები, რადგან მუშა საქონელი სულ ერთიან გასწყვიტა ჭირმა.

✦ ბათომში დაატუსაღეს და თბილისს გაგზავნეს ი. პ. კარბელაშვილი, რომელსაც პროვოკატორობას აბრალებდენ.

✦ სოფელ სალხინოში (ქუთაისის მაზრა) არსდება ვანის კოოპერატივის განყოფილება ვინაიდან ხსენებული კოოპერატივი სალხინოზე დაშორებულია.

✦ ს. ვანის კოოპერატივმა მიიღო შაბიამანი, რომელიც გირვანქა 70 კ. ღირს.

✦ კვირას, 6 აპრილს ქალაქის ბაღში საჯარო ვაჭრობით გაიყიდა გაზ. „გოლოს სოლდატა“ ჯარის კაცთა ორგანოს ფონდის გასაძლიერებლად. შემოვიდა შემოწირულებანი. სხვათა შორის ერთმა ქართველმა ებრაელმა თავდიდიშვილმა ხუთასი მანეთი შესწირა.

✦ შაბათს 8 აპრილს და კვირას ქუთ. ქალაქის თიატრში წარმოდგენილ იქნა „ჟან და მადლენა.“ საზოგადოება ბლომად დაესწრო განსაკუთრებით შაბათს და ნასიამოვნებიც დაიშალა.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში 6 აპრილს დღის 2 საათზე ი. მ. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით მოხდა ქუთაისის ალმ. კომიტეტის სხდომა. დადგენილია:

1) შემოწირულება 50 მანეთი, რომელიც აღმასრულებელმა კომიტეტმა ალხაზაშვილისაგან მიიღო, დაუბრუნდეს შემომწირველს, ვინაიდან ბ-ნი ალხაზაშვილი, როგორც ჰიათურის ყოფილი ბოქაული, მავნე ელემენტი იყო, რისთვისაც დააპატიმრეს. 2) განიხილეს პროექტი ინსტრუქციისა სოფლის საზოგად. კომიტ. არჩევნების მოსახდენად შემდეგის შინაარსისა:

1. სოფლის საზოგადოებათა კომიტეტების არჩევნების ხელმძღვანელობა ევალებათ არსებულს დროებით სამაზრო კომიტეტებს, თუ ამ კომიტეტთა შემადგენლობაში შედიან ადგილობრივ მომქმედი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელნი თანასწორი რიცხვით; იქ კი, სადაც სამაზრო კომიტეტები ამგვარი წესით არ არიან არჩეულნი, სასწრაფოდ უნდა მოხდეს მათი არჩევნები ხსენებული წესით.

2. ადგილობრივ მომქმედ პოლიტიკურ პარტიებს უფლება ეძლევათ სოფლის საზოგადოებათა კომიტეტების არჩევნებზე გაგზავნონ თავისი წარმომადგენლები, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ წესიერების დაცვას არჩევნების დროს. ამ წარმომადგენლებს ეძლევათ სათანადო მოწმობა, რომელსაც ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი უგზავნის მაზრის დროებით აღმასრულებელ კომიტეტებს.

3. იმ ადგილებში, სადაც მოხდებ. შეთანხმება პოლიტიკურ პარტიათა შორის, კენჭს უყრიან მათ მიერ შედგენილს ასარჩევ კანდიდატების საერთო სიას; იქ კი, სადაც ასეთი შეთანხმება არ მოხდება, თითეულ კანდიდატს ედგმის ცალკე საარჩევნო ყუთი.

**შენიშვნა**. კანდიდატების პარტიულ სიას შესაძლებელია კენჭი ეყაროს მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ პარტიებს საშვალება ექნებათ თავისუფლად გააცნონ ხალხს თავისი პროგრამა.

4. საჩივრები არჩევნების უკანონოდ მოხდენის შესახებ უნდა შეტანილ იქნეს დროებით სამაზრო კომიტეტებში, რომელნიც თავის მხრით წარუდგენენ მათ განსახილველად ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს.

5. სოფლის საზოგადოებათა კომიტეტების არჩევნები არ შეჩერდება იმის გამო, რომ ამ არჩევნებს არ დაესწრონ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლნი.

6. არჩევნების მოსახდენ უკანასკნელ ვადათ დანიშნულია მდგომარე 1917 წლის 1 მაისი.

7. ამ ინსტრუქციის რამდენიმე ცალი სახელმძღვანელოდ ეგზავნება დროებით სამაზრო კომიტეტებს, რომელნიც ვალდებულნი არიან სოფლის საზოგადოებათა კომიტეტების არჩევნების დრო წინდაწინვე აცნობონ ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს საჭირო განკარგულებათა მოსახდენად.

## თბილისი.

ვალერიან გუნიას საზეიმო პატივისცემა საბოლოოდ გადაწყვეტილია გაიმართოს შაბათს, 29 აპრილს თბილისის სახელმწიფო თეატრში. დღე უკვე აღებულია. ზეიმი გაიმართება ნაშუადღევის პირველ საათზე. მართალია შაბათი ხელს არ უწყობს დიდის ზეიმს, რადგან ეს დღეს სამუშაო დღეა, მაგრამ კვირა დღეს საზეიმო კომიტეტმა ვერ იშოვნა და ამიტომ იძულებული შეიქმნა დღესასწაული შაბათს გაემართნა. კომიტეტი საბუთიანად ფიქრობს, ვისაც დამსახურებული მოღვაწე-მოამაგის პატივისცემა სურს, შაბათ ნაშუადღევსაც მოახერხებს დასწრებას.

საიუბილეო ალმანახი. მიხეილ გაჩეჩილაძე, სტამბა „სორაპანი“-ს პატრონი, უკვე ამთავრებს საიუბილეო ალმანახის ბეჭდვას და დამდეგ კვირაში ალმანახი გამოვა კიდეც გასაყიდათ, ალმანახი დასურათებულია მრავალის ნახატებით, რომელთა რიცხვი ორმოცზე მეტია. ალმანახში მოთავსებული იქნება სხვა და სხვა მოგონებათა და წერილების გარდა ლექსები გრიშაშვილისა, დ. ახვლედიანისა, ბაბილინასი, შიო მღვიმელისა, გ. გვაზავასი და სხვათა. ალმანახის შემოსავალი ხარჯს გარდა მოხმარდება იუბილარის ფონდს.

## ნათელი დასკვნა.

რევოლიუცის შემდეგ სახელმწიფო საქმეების საჭე ახალმა მთავრობამ დაიკავა; სახიფათო გზისკენ მიმართული განვითარება სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა დიდ ძალას ითხოვდა უკუღმა დაყენებულ საქმის წაღმა მოსაბრუნებლად. ძველმა მთავრობამ ბევრი ძნელად გამოსასწორებელი შეცდომა დასტოვა და მერე ეს შეცდომები ცხოვრების ისეთ მხარეებში ხდებოდა, რომ არსებულ პირობების შეუცვლელობა სახელმწიფოს სრულ დარღვევას უქადიდა. კერძო თუ პირადი ინიციატივით საქმის გაძღოლა საძნელო და უშედეგო იქნებოდა. ახალმა მთავრობამ გაითვალისწინა თვისი მდგომარების სირთულე და ნაკისრ საქმეების გასაძღოლად მოისუვა მთელი საზოგადოებრივ ძალების დახმარება. პირველი და მთავარი პრინციპი მისი მოქმედობისა იყო ყველა მიმართულებათა და ორგანიზაციათა თანამშრომლობა. თანამშრომლობით გაკეთებული საქმე მეტ დროს ითხოვს, მეტ დავას, მაგრამ მისი აშკარა კარგი მხარე ის არის, რომ ამ მუშაობაში მიღებული დასკვნა უფრო საფუძვლიანი, ძლიერი და ხანგრძლივია. მხოლოდ ამ პრინციპით მუშაობა შეაძლებიებდა ახალ მთავრობას ძველ ცოდვათა აღმოჩენას. და მისი გამოსწორებისათვის ნამდვილ ნიადაგის მომზადებას.

საზოგადოებრივი აზრიც გამოეხმაურა ახალ მთავრობის მიერ განზრახულ თანამშრომლობაზე მიწვევას. პრესამ ხმა ამოიღო, წამოაყენა საჩქაროდ გადასაწყვეტი სახელმწიფო კითხვები და თვისი რჩევაც მიაწოდა ახალ მთავრობას.

მაგრამ საკითხების რიგი, მათი სირთულე, საზოგადოებრივ აზრის დიფერენციაცია და ცხოვრების შემდეგი, შეუჩერებელი სვლა შეუძლებელს ხდიდა პირველიდვე აშკარა პასუხის მიღებას ყველა საჭირბოროტო მოვლენებზე. ეს მით უფრო საძნელო ხდებოდა, რომ რევოლიუციის ხანა არ არი ხანა კანონპროექტებისა და განზრახვისა. რევოლიუცია ისეთი მრავალფეროვანი მოვლენა და საგანია, რომელიც აუცილებელ პირობათ აყენებს განზრახვისა და მის ასრულების შორის შესაბამებას. თქმა და გაკეთება—აი ესაა მთავარი ძარღვი რევოლიუციისა. ხოლო ეს ხლართი აზრთა, პასუხთა და მოქმედებისა ყოველის მხრით მოქმედებისა, ყოველის მხრით ართულებდა საგნის გარკვევას.

მიუხედავათ ამისა ჩვეულებრივ პარტიულ შეუთანხმებლობის გარეგან მხარეს შინაგანი ძაფებიცა აქვს გაბმული ამ შემათანხმებელ აზრთა არსებობა შეძლებას აძლევს მიმომხილველს გაითვალისწინოს რევოლიუციის შემდეგ მიღებული პასუხი, მრავალ საჭირბოროტო კითხვებზე. ამ შინაგანი თანხმობის არსებობა სწორედ პირველი საფუძველია სახელმწიფო ცხოვრების დაურღვევლად განგრძობისა. თორემ ამ ბრძოლას მარტო გარეგანი მხარე რომ ახასიათებდეს, შეუძლებელი იქნებოდა რაიმე საერთო აზრის (რასაკვირველია უმეტესობით) მიღება. მაშინ გამეფდება სრული ანარქია და შინაური ალრევა ბოლოს მოუღებდა დაწყებულ საქმეს. საბედნიეროთ ამ ერთი თვის განმავლობაში საერთო მოძრაობისა და ნერვიული ცხოვრების ტრიალში გამოინაკვეთა რამდენიმე ნათელი დასკვნა, რაც დროებით ურწმუნო თომასაც დააჯერებს საერთო საქმის სასურველად დამთავრებაში, ოღონდ უნდა აღვნიშნოთ ეს რწმენა იქნება დროებითი, რადგან დაწყებულ საქმის მესვეურთა შორის პირად კინკლაობის ზედმეტად გამწვავებას შეუძლია დაანგრიოს დიდი საერთო შრომით აგებული თავისუფლების შენობა და ამასთანავე შეუძლებელიც გახადოს მისი აღდგენა.

ამიტომ ყოველივე გამწვავება მდგომარეობისა დღეს მავნებელ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს. მომენტი იმდენად რთულია, რომ ყოველივე წინდაწინ გაზომილი უნდა იქნეს ყველას მიერ, ასეთ სიცხარის დროს საზოგადოებრივ აზრის რომელსამე მხარეს ხელოვნურად მიმართვა იქნება საერთო იდეების წინაამდეგ სიარული. აქამდი საზოგადოებრივ აზრის გამოცხოველებამ და შინაგან თანამშრომლობამ შესაძლებელი გახადა ბევრი საკითხის საერთოდ გადაჭრა; მაგალითად დღეს ყველა სახელმწიფო მართვა-გამგეობა ფორმის შესახებ აშკარად არჩევს რესპუბლიკურ ფორმას, ომის შესახებ ყველასგან უარყოფილია დამპყრობელი პოლიტიკა და მთელი ძალით კი ცდილობენ აწარმოონ თავდაცვითი ბრძოლა, ვიდრე ზავის სამართლიან პირობებს თვით მოპირდაპირე არ წამოაყენებს, საერთო აზრი აშკარად ემხრობა შეუწყვეტელ მუშაობის წარმოებას ჯარის ზურგიდან დასახმარებლად. ამასთანავე მთელი საზოგადოება თხოულობს მართვა გამგეობის ახალ მთავრობის ხელში მოქცევას. ესაა საერთო ნათელი დასკვნა რევოლიუციისთვის.

პრინციპი თანამშრომლობისა და შინაგანი თანხმობის საფუძველი მთავარი პირობა იყო ამ დასკვნის შემუშავებაში. დაწყებული თანხმობა საქმისა რიგიანად დასრულების თავდებია. ოღონდ ამ პირველმავე თვემ გვიჩვენა, რომ ერთი მხარე სასწორის გადახრას ეტანება. რღვევის პროცესი მხოლოდ ამას შეუძლია წარმოშვას. დღეს გრძნობას ვერ ავყვებით, ვერ ვიტყვით გაბედულათ: „ალია იაქტა ესტ“. დღეს მხოლოდ და მხოლოდ თანამშრომლობისა და თანხმობის საფუძველზე აიგება მომავალი ცხოვრება. მეტი პატივისცემით, მეტის საბუთით და ღონით მივეგებოთ მას.

**მ. ეგრისელი.**

## ეროვნული კითხვა.

### სომეხთა სახალხო თავისუფლების პარტიის პროგრამა.

ამასწინად მოსკოვის სომეხთა კომიტეტის თავმჯდომარემ მამიკონიანმა თავად ლვოვს დეპეშა გაუგზავნა და სომხების ავტონომია მოითხოვა. ეხლა მამიკონიანს თავს უდვია სომხეთის ეროვნულ ყრილობის მოწვევა. ამის გამო მას გაზ. „მშაკი„-სათვის შემდეგი დეპეშა გამოუგზავნია:

„ცხოვრებამ მრავალი საკითხები წამოაყენა. ამ საკითხების მიჩქმალვა უნაყოფო იქნება. ეს საკითხები ძალას გვატანენ დაუყონებლივ მოვიწვიოთ ეროვნული ყრილობა, რათა სავსებით და დაწვრილებით განხილულ იქნას როგორც საპოლიტიკო აგრეთვე სხვა საკითხებიც. საჭიროა პეტროგრადში მუდმივ დელეგაციის დაარსება (მით უმეტეს, რომ პაპაჯანოვი იქ აღარ არის); ეს დელეგაცია რამდენიმე პირთაგან უნდა იქმნეს შემდგარი და ამის დაარსება გამოწვეულია მილიუკოვის წინადადებით სომხეთის საკითხის შესახებ და დამფუძნებელ კრების კომისიის შემადგენლობით: ამ კომისიაში შედიან ეროვნულ ჯგუფთა წარმომადგენლნი. ნუბარ- ფაშას დირექტივები უნდა მიეცეს, რათა მან საისტორიო მოთხოვნილებათა მიხედვით იმოქმედოს; საჭიროა გადასწყდეს საკითხები საეკლესიო, საეკლესიო ქონებისა, ლაზარევის ინსტიტუტისა და სხვა სკოლებისა, ოსმალეთის ქვეშევრდომ ტყვე სომხებისა, ლტოლვილ და გადასახლებულ სომხებისა და მრავალ სხვა საკითხებისა. ყველაფერი ეს ძლიერ ორგანიზაციას საჭიროებს. მთავრობა თვითონ სწყვეტს ყველა საკითხებს. თვალის დახუჭვა, გაჩუმება ეხლა, როდესაც მთავრობას ჰგონია, რომ ომის გარდა, შეუძლიან სხვა საქმისათვისაც იზრუნოს, იმას ნიშნავს, რომ საყვედური დავიმსახუროთ. ვითომც მთავრობის მიშველება არა გვსურდეს. ეხლა არ არის არც ერთი ისეთი ეროვნული ან პარტიული ორგანიზაცია გარდა უკულტურო ერებისა, რომელიც ცენტრში დიდ შრომაში არ მონაწილეობდეს. რუსეთის სხვა და სხვა პარტიები გვეკითხებიან, რა გსურთ, რის იმედი გაქვთ. საკითხს პირდაპირ და გადაჭრით გვიყენებენ. რუსეთის ცენტრები ეხლა მღელვარე ზღვას წააგავს, სადაც ყველა თვის ლოზუნგების დროშას აფრიალებს. გაჩუმებას, სურვილთა დამალვას ეხლა ეჭვის თვალით უცქერიან, ისე უცქერიან, როგორც საიდუმლო სურვილთა დაფარვას და პირმოთნეობას. მეორე მხრით დროებითი მთავრობა ყურ მახვილად ისმენს ყოველსავე ხმას და ყოველნაირ სამართლიან სურვილებს წინ ეგებება. დროების მიხედვით ჩვენ გაჩუმება არ ძალ გვიძს. ჩვენ იძულებულნი ვართ ხმა ამოვიღოთ, ჩვენი სურვილები გამოვსთქვათ. თუ ეხლა სომხის პასუხის მგებელი წრეები ხმას არ ამოიღებენ, მაშინ ისეთები გამოვლენ, რომლებიც პასუხისმგებლები არ იქნებიან და მაშინ უარესობა მოხდება. ერთად ერთი საშუალება ის არის, რომ მოწვეულ იქმნას ეროვნული ყრილობა, რომელიც მუდმივ ორგანოს ამოირჩევს. ამ ორგანოს თავის ავტორიტეტით შეძლება ექმნება ჩვენი ხალხის ინტერესები და შეხედულებანი გამოსთქვან. საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მოღვაწეების ყურადღება ერთხელ კიდევ მივაქციოთ ამ საკითხის საჭიროებას. ევროპის რუსეთის. ქალაქებიდან, ადგილობრივ ორგანიზაციებისაგან მოგვდის რეზოლიუციები, სადაც ყრილობის მოწვევას მოითხოვენ. დაყოვნება სიკვდილის თანაბარია. კრების მოწვევა ერთი თვის შემდეგ უკვე გვიან იქნება--ზაფხული დადგება.

კომიტეტის თავმჯდომარე მამიკონიანცი.

სომხების სახალხო თავისუფლების პარტიამ თავისი პროგრამა გამოაქვეყნა:

1. სომხების სახალხო თავისუფლების პარტია საერთო სახელმწიფოებრივ საკითხებში ემხრობა რუსეთის სახალხო თავისუფლების პარტიის უკანასკნელად გამუშავებულ პროგრამას.

2. საეროვნო საკითხში, სომეხთა პარტია ემყარება რა ამავე პროგრამას შემდეგ პრინციპს აღიარებს:

„ამიერ კავკასიის სომხურ ოლქებში სომხებმა უნდა მიიღონ ფართო საპოლიტიკო-ტერიტორიალური თვით-მართველობა საკანონმდებლო დაწესებულებით და ამავე დროს სომხეთი რუსეთის განუყოფელი ნაწილი იქნება“.

შენიშვნა 1. თვითმართველ ოლქების საზღვრების გამიჯვნის დროს აწ არსებული საადმინისტრაციო საზღვრები ეროვნულ შეჯგუფების მიხედვით უნდა შეიცვალოს.

შენიშვნა 2. ყველა თვითმმართველ ოლქში იმ ერთა ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ, პატივდებული უნდა იყოს.

3. ოსმალეთის სომხეთის საკითხი საერთაშორისო საკითხს შეადგენს და იგი მხოლოდ საერთაშორისო კონგრესზე გადასწყდება, მაგრამ პარტია უნდა ეცადოს, რომ ეს საკითხი ისე გადასწყდეს როგორც ოსმალეთის სომხების სურვილი იქნება.

4. საეკლესიო საკითხებში პარტია მოითხოვს: 1) აღდგენილ იქნეს სომხურ დამოუკიდებელ ეკლესიის ძველი უფლებანი. 2) მოწვეულ უნდა იქნეს ეროვნული საეკლესიო კრებული სასულიერო და ერის კაცთაგან შედგენილი; ამ კრებულმა საეკლესიო საქმეებში თანამედროვე ცხოვრების მიხედვით ძირითადი ცვლილებები უნდა შეიტანოს. საქ..

## მოწერილი ამბები

**ვანი.** ავტონომისტთა და არა ავტონომისტთა პარტიული ქიშპობა, ე. ი. ბევრი ჩხუბი, რომელიც ძველი მთავრობის დამხობის შემდეგ ქალაქებში წარმოიშო ზოგიერთა სამწუხაროდ ჩვენს სოფლებშიაც ფეხს იკიდებს. სოფლელი გლეხი თითქმის სავსებით აღიარებს ავტონომიის პრინციპებს; მხოლოდ თვით სიტყვა ავტონომია კი არ მოსწონთ, ვინაიდან მისი აზრით ავტონომია ბატონყმობის აღდგენის მომასწავებელია და იძახის: „არ მინდა! თქვენ, ავტონომისტები ბატონყმობის აღდგენის მომხრენი ხართო„.

აი, სწორეთ ასეთ სამწუხარო სურათს, ვხედავთ ჩვენ სხვათა შორის ს. ვანშიაც, რომელიც ნივთიერად და კულტურულად წინ უსწრებს სხვა სოფლებს. მიუხედავად ამისა ვანი ვერ ასცდა იმ დამქაქსველ, დამაძაბუნებელ სენს, როგორიცაა პარტიებ შორის გაუთავებელი დავა. სამწუხაროა, რომ ადგილობრივ ინტელიგენციას ვერ მიუღია მის საწინააღმდეგო ზომები. ზოგი ინტელიგენტი კი იმის ნაცვლად, რომ ხალხს შეთანხმებას ურჩევდეს, თვით უმზადებს ნიადაგს მათ შორის უთანხმოებას. საჭიროა სოფლებში შრომა. მაგრამ შრომა იმ გვარი კი არა, რომ ერში შუღლი და მტრობა ჩამოვარდეს, არამედ თვითეული სოფლის მუშაკთაგანი უნდა სცდილობდეს შეაერთოს, შეათანხმოს პარტიებად დაქსაქსული ერი. ჩვენც, ქართველ ერს საერთო ტკივილი გვაწუხებს და მხოლოდ იმის მოსაშუშებელი წამალი გვჭირდება.

**ი. საჩინოელი.**

## კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა.

დღე მეორე.

მეორე დღეს ყრილობამ მოისმინა 35-მდე მოხსენება პროვინციაში საქმეთა ვითარების შესახებ. როგორც გამოირკვა, რევოლიუცია თითქმის ყველგან უმტკივნეულოდ ჩატარებულა და ხალხში აღტაცება და დიდი ეროვნული აღფრთოვანება გამოუწვევია. თითქმის ყველა მომხსენებელი დაუყოვნებლივ საჭიროდ სთვლის ქალაქის თვითმართველობათა განახლებას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის-მიცემის საფუძველზე. ბევრი დელეგატი მოითხოვს, რომ იქ, სადაც მრავალი ადგილობრივი დროებითი კომიტეტი ძალა-უფლების გამო ერთმანეთს ედავება, დაიგზავნოს დროებითი მთავრობის კომისარები ხსენებულ კომიტეტების მოქმედების შესათანხმებლად და ერთმთავრობის დასამყარებლად. ქ. სემიპალატინსკის წარმომადგენელმა დაახასიათა სხვათა შორის ყირგიზების პროგრამა, რომელიც შემდეგი პუნქტებისაგან შესდგება:

1) დამყარდეს დემოკრატიული რესპუბლიკა, 2) ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომია, 3) მიენიჭოს ქალებს პოლიტიკური უფლებები, 4) უფასო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლა, უფასო საექიმო დახმარება, 5) შესდგეს მიწის ფონდი, რისთვისაც უსასყიდლოდ ჩამორთმეულ იქნეს საუფლისწულო, საკაბინეტო, საეკლესიო და სახელმწიფო მამულები, რომელნიც იჯარის წესით კერძო პირთა მფლობელობაში იმყოფებიან; მოიჯარადრეებს აენაზღაუროს მამულის გასაუმჯობესებლად გაწეული ხარჯებიმიწები, რომელნიც ყირგიზებს ჩამოართვეს, თუ კი იქ სოფლები ჯერაც არ გაშენებულა, თავის პირვანდელ პატრონებს დაუბრუნდეს.

40 წუთით შესვენების შემდეგ კრება აგრარულ საკითხის განხილვას შეუდგება. მომხსენებელი კორნილოვი აცხადებს, რომ პარტიის ცენტრალ კომიტეტს აგრარულ საკითხის შესახებ მოხსენება არ შეუდგენია და ორატორიც ამ საკითხს არსებითად ვერ შეეხება. საქმე ის არის, რომ პოლიტიკურ იდეალთა შესრულება თავის თავად ჰბადებს საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია ცხოვრების მიერ წამოყენებულ სოციალ იდეალთა განხორციელება. ამის შესახებ ცენტრალ კომიტეტს მსჯელობა ჰქონია და ის აზრი გამოუთქვამს, რომ სოციალ იდეალების განხორციელება სხვაფრივ, თუ არა სახალხო წარმომადგენლობის გარდაწყვე-

ტილებით, ვთქვით რაიმე დეკრეტის ძალით, ყოვლად შეუძლებელია. ამასთან ცენტრალი კომიტეტმა ისიც აღიარა, რომ თუ დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქმნა ომის გათავებამდე, საჭიროა, რომ დამფუძნებელმა კრებამ აგრარული საკითხი პირველ რიგში წამოაყენოს, რადგან არმიის ყველა წევრი, რომელიც ფრონტზე იმყოფება, ამ საკითხით ღრმად დაინტერესებულია და რა თქმა უნდა, მოისურვებს მის გადაწყვეტაში ადგილობრივ მონაწილეობა მიიღოს. ყველაფერი ეს ჰლაპარაკობს, რომ სიჩქარე ამ საკითხის გადაწყვეტაში შეუწყნარებელია. მეორე მხრით ისიც ეჭვს გარეშეა, რომ კადეტების აგრარული პროგრამა რაოდენადმე გადათვალიერებას მოითხოვს.

ცენტრალი კომიტეტი წინადადებას აძლევს ყრილობას ამოირჩიოს დიდი აგრარული კომისია და მიანდოს მას საჩქაროდ შეიმუშავოს ის, აგრარულ პროგრამაში შესატანი, ნაწილობრივ სარედაქციო და ნაწილობრივ არსებითი შესწორება, რომელიც უმთავრესად სტოლიპინის კანონმდებლობით არის გამოწვეული. ცენტრალი კომიტეტი ფიქრობს, რომ აგრარულ პროგრამაში ძირითად ცვლილებების შეტანა, საჭირო არ დარჩება. კომისიამ თავისი მოხსენება უნდა წარუდგინოს პარტიის შემდეგ ყრილობას, რომლის მოწვევა განზრახულია რამოდენიმე კვირის შემდეგ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი რომელმაც ცხარე ხასიათი მიიღო. ბევრი ორატორი აღნიშნავდა, რომ აგრარულ საკითხს პარტიისათვის ამ ჟამად არა მხოლოდ სოციალი არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. გლეხობა განიცდის მიწის ისეთ სტიქიურ წყურვილს, რომ ვერავითარი აგრარული პროგრამა ვერ დააკმაყოფილებს მას. ამ პირობებში მომხსენებლის განცხადება, რომ აგრარულ პროგრამის საფუძველი უცვლელად უნდა დარჩეს და მხოლოდ შესწორება უნდა ვიკმაროთ, არ შეეფერება, ოპონენტების აზრით, დღევანდელ მომენტის მოთხოვნილებას მეტად საძნელო იქნება პარტიისათვის მომავალ სააგიტაციო მოქმედების დროს მემარცხენე პარტიებთან ბრძოლა, განსაკუთრებით სოციალ-რევოლიუციონერებთან, რომელნიც ხალხის სასარგებლოდ მთელი მიწის კონფისკაციას მოითხოვენ. კორნილოვმა პასუხი გასცა თავის ოპონენტებს და განმარტა, რომ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია თავის რეპუტაციას დაჰკარგავდა, თუ კი იგი აგრარულ თუ სხვა ძირითად საკითხებში დაამტკიცებდა, რომ იგი მომენტას პარტია ყოფილა. რეალ პოლიტიკის პარტია, ისეთი პარტია კი არ არის, რომელიც ჯარის მიხედვით იცვლის თავის შეხედულებას. რეალ პოლიტიკის პარტია ახორციელებს თავის შეხედულებებს არსებულ პოლიტიკურ და სოციალ კონიუნქტურის მიხედვით. არჩევნებში გამარჯვებისა თუ დამარცხების მოლოდინი მას პროგრამას ვერ შეაცვლევინებს.

დიდი დებატების შემდეგ აგრარული საკითხის განხილვის დასასრული 28 მარტისათვის გადაიდო.

ომისადმი დამოკიდებულების შესახებ მოხსენებანი წარმოადგინეს შჩეპკინმა და კორნილოვმა. აღფრთოვანებული სიტყვა წარმოსთქვა როდიჩევმა. მამადიანთა პარტიის სახელით მაქსუდოვი აცხადებს, რომ სრუტეებისა და კონსტანტინეპოლის საკითხში აამადიანები არ იზიარებენ იმ გრძნობებს, რომელნიც კრების თანაგრძნობას იწვევენ. მამადიანებიც მოითხოვენ ომის გამარჯვებამდე მიყვანას მაგრამ ჰფიქრობენ, რომ მამადიანთა სარწმუნოებრივ გრძნობის პატივისცემისათვის პარტიას ჰმართებს ამოშალოს თავის პროგრამიდან პუნკტი სრუტეებისა და კონსტანტინეპოლის შესახებ. მაქსუდოვს უპასუხებს კოკოშკინი და განმარტავს, რომ სრუტეებისა და კონსტანტინეპოლის მოთხოვნა სრულიად არ გულისხმობს მამადიანთა სარწმუნოებრივ გრძნობის შეურაცხყოფას.

დასასრულ კრება ერთხმად იღებს რეზოლუციას, რაცა სრულ ნდობას უცხადებს დროებით მთავრობას და მის მოკავშირეებთან დადებულ პირობათა თანახმად წარმოებულ, საგარეო პოლიტიკას, და გამოსთქვამს რწმენას, რომ დროებითი მთავრობა მტკიცედ ემსახურება შეერთებულ დემოკრატიათა მიერ განცხადებულ განმათავისუფლებელ მიზნებს ომისას და მიიყვანს მას სრულ გამარჯვებამდე.

# უკანასკნელი ცნობები.

## როგორ სცხოვრობს ნიკ. რომანოვი.

ნამეფარი ნიკ. რომანოვი ამ ჟამად თავის საზაფხულო სასახლეშია დამწყვდეული ცარსკოე სელოში. მის ბინას სამ წყებად ჰყავს ყარაულები შემოვლებული. ასე რომ არავითარი დამოკიდებულება მას და მის ოჯახის წევრებს გარეშე ქვეყანასთან არა აქვთ.

სასახლის ზემო სართულში იმყოფებიან ნიკოლოზი, მისი ცოლი და შვილები, რომელნიც ამ ჟამად ყველანი ავად არიან. ბავშვები მუდამ დედასთან იმყოფებიან, ხოლო ნამეფარს სიტყვა ჩამოართვეს და ფიცი დაადებიეს, რომ ის ცოლს არ ინახულებს, ბავშვების ნახვა კი განსაზღვრულ საათებში შეუძლიან, როდესაც დედა მათთან არ იქნება.

დილით ოჯახი გვიან იღვიძებს: დაახლოვებით 10 საათზე. მაშინვე ნიკოლოზი ჯარის კაცს გზავნის გაზეთების მოსატანად და ამისთვის აძლევს პატარა ქაღალდის ნახევს, რომელზედაც გაზეთების სახელებია ჩამოთვლილი, და ფულს. ექს-იმპერატორი კითხულობს: „რეჩ"-ს, „ნოვ. ვედ" და „რუსკოე სლოვოს", რომელიც მოსკოვიდან ფოსტით მოსდის ზედ აწერია: „ცარსკოე სელო, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვს".

ყოფილი დედოფალი სრულიად გამოიცვალა. იგი ნიადაგ დადუმებულია კუშტად გამოიყურება და ისეა გაფითრებული, რომ მარმარილოს ქანდაკებას მოაგონებს კაცს. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოვიდა ის თავის მდგომარეობიდან: როდესაც ვირუბოვის ქალს ეთხოვებოდა, თავი ვეღარ შეიკავა და ისტერიული ტირილი დაიწყო. ის იყო და ის, იმის შემდეგ მას სიცოცხლე აღარ ატყვია სახეზე.

საერთოდ ტუსაღებს სასტიკად ადევნებენ თვალ ყურს ისე, რომ ყარაულებს ვერაფერი გამოეპარებათ. თავის მდგომარეობას რომანოვები ნელ ნელა ეთვისებიან.

# რუსეთი.

**სენატის განახლება.** თანამდებობიდგან გადადგნენ სენატორები: ვოიჩი, ზაიონჩკოვსკი, სილინი და ზოლოტარიევი; გადაყენებულ იქნენ ბელეცკი, ლაგოდა და ვენდრიხი.

**„შავი მწიკვლი".** ქ. ჩელიაშინსკის ახლო, ციმბირში, ეკლესიაში ერთს მღვდელს მლოცველებისათვის მიუმართავს სიტყვით, რომელშიაც ის აზრი გაუტარებია, რომ, „რუსის ხალხს უხელმწიფოდ არსებობა არ შეუძლია" და წყევლა-კრულვა შეუთვლია იმათთვის, ვინც „ყველა ეს თავისუფლებები გამოიგონა" ო ხალხს შესაფერი მსჯავრი დაუდვია მღვდლისათვის და მისი დატუსაღება მოუთხოვია.

**თანასწორობა ყველაფერში.** გზათა მინისტრს ნ. ვ. ნეკრასოვს განკარგულება გაუცია, რომ რკინიგზის სადგურებზე არავის მიეცეს ბილეთი რიგის გარეშე ვისიმე თხოვნითა და ზეგავლენით.

**ემიგრანტის დაბრუნება.** საზღვარგარეთიდან პეტროგრადში დაბრუნდა ცნობილი ემიგრანტი, ჟურნალისტი სავინნიკოვი (როპშინი)

**ინგლისელები რუსეთში.** უკვე გამომგზავრებულან რუსეთისაკენ ინგლისურ პრესის წარმომადგენლები, რომელთაც აზრად ჰქონიათ დაიარონ რუსეთი მოკლე ხანში და გამოიკვლიონ, თუ რა სულისკვეთება ამოძრავებს რუსეთის საზოგადოებას, უკანასკნელი დანიშნულება ამ მისიისა გამოწვეულია იმით, რომ რუსეთის რევოლიუციის პირველ დღიდანვე ინგლისის გაზეთებში სიმართლეს მოკლებული, ერთობ ტენდენციური და რეაქციონური ცნობები თავსდებოდა.

**მემარჯვენეთა ბელადის დატუსაღება.** საგანგებო გამომძიებელ კომისიას წარუდგინეს ტაშკენტში დატუსაღებული ცნობილი მემარჯვენე ორლოვი.

**პროტ. ვოსტორგოვი.** ცნობილ ქართველთა მოძულეს და რეაქციონერს პროტ. ვოსტორგოვს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სამხედრო მღვდლად მიიღონ ის.

**გენ. იანუშკევიჩი — მოღალატე!** სახელმწიფოს მოღალატესის მიასოედოვის ამხანაგს ცნობილ ფრეინატს შუამდგომლობა აღუძრავს მისი საქმის გადასინჯვის შესახებ. ის დაპირებას იძლევა, რომ იგი თავს გაიმართლებს და სამაგიეროდ გამოამჟღავნებს საბუთებს გენ. იანუშკევიჩის მოღალატეობის შესახებ.

**ა. ლ. კარავაევის მკვლელის აღმოჩენა.** ეკატერინოსლავიდან გაზეთ „რუს. სლ." ატყობინებენ: აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა ნაფიცმა ვექილმა ვორობეიკინმა კომიტეტს მოახსენა, სანდო პირის გადმოცემით, რომ ეკატერინოსლავში მოდის ყოფილი პოლიციელი პასკო, რომელიც გაცნობილია ა. ლ. კარავაევის მოკვლის მოწყობის საქმეს.

პასკოს სიტყვით მკვლელობა მოაწყო ყოფილმა ეკატერინოსლავის ბრიანის ნაწილის ბოქაულმა სინკოვსკიმ, რისთვისაც მიიღო დიდი ჯილდო და გადაყვანილ იქნა პოლიციმეისტრის უფლებებით იუზოვკაში. იარაღი მკვლელებს მისცა მისმა მწერალმა, რომელმაც ბოლოს თავი მოიკლა. მკვლელი იყო ბრიანის ქარხანაში მომუშავე შალდო. შალდოზე, როგორც მკვლელზე უთითებდა კარავაევის შვილებიც თავის თხოვნაში, რომელიც გამომძიებელს მიართვეს. 1910 წელში პასკოს არა ერთხელ მიუმართავს მთავრობისათვის კარავაევის მოკვლის შესახებ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

# უცხოეთი.

**ესპანეთი და გერმანია.** ამერიკის გერმანეთის წინააღმდეგ გამოსვლის შემდეგ ესპანეთის მმართველ წრეებში კითხვა აღუძრავს ომში ჩარევის შესახებ; გაჩენილა ორი მიმდინარეობა ამ კითხვის გამო: ნეიტრალობის მომხრე და ფრანგოფილური კაბინეტი ომის მომხრე იყო და ამიტომაც გადადგა, როდესაც ნეიტრალობის აზრმა გაიმარჯვა.

**საბერძნეთი და მოკავშირენი.** საბერძნეთის კუნძულ ზანტეზე, რომელიც მოკავშირეებსა აქვთ დაპყრობილი, სარევოლიუციო მოძრაობამ იჩინა თავი. რადგანაც მოკავშირენი წინად დაჰპირდნენ მეფე კონსტანტინეს, რომ ისინი სარევოლიუციო მოძრაობას დაახშობდნენ კუნძულზე, ამიტომ ეხლა საბერძნეთის მთავრობამ მოსთხოვა მოკავშირეებს დასცალონ კუნძ. ზანტე, რადგანაც მათ თავისი დაპირებანი არ შეასრულეს.

# საჭირო შენიშვნა.

სოფ. ტობანიერის მცხოვრებ ალ. ბახტაძეს სოფიო მიქელაძისგან იჯარით აუღია სამუშაო მიწა, რაზეც მას სოფ. ტობანიერის აღმასრულებელ კომიტეტისგან შესაფერი მოწმობაც აქვს მიღებული, რომელიც მოგვყავს აქვე. „თანახმად კანონიერის საბუთისა ეს მოწერილობა ეძლევა ალექსანდრე ლუარ. ბახტაძეს ადგილობრივ ოცის თავის ს. ფახურიძის გადასაცემად, რომელმაც უნდა დაიცვას ეს პირობა ვინაიდან კერძო საკუთრება ხელუხლებელი რჩება. ოცის თავმა სოფლის საზოგადოების მცხოვრებთა სავალდებულოთ უნდა განაცხადოს, რომ ისინი წინააღმდეგნი არ გაუხდენ ბახტაძეს მამულის დამუშავებაში, თორემ სასტიკად დაისჯებიან ახალ მთავრობის კანონებით. 1917 წ. 27 მარტი სოფ. ტობანიერის კომისარი დიმიტრი მეგენეიშვილი. მოწმობას აზის სოფ. ტობანიერის აღმასრულებელ კომიტეტის ბეჭედი*).

ჩვენს რედაქციაში შემოვიდა სოფიო მიქელაძის მამულის მოიჯარადრე და განაცხადა, რომ მას ადგილობრივი მცხოვრებნი აღებულ მამულის დამუშავების ნებას არ აძლევენ. მცხოვრებთ განუცხადებიათ, რომ „დღეს რადგან პროლეტარიატმა გაიმარჯვა, დიდი მამულები ყველას უფასოდ უნდა ჩამოერთვათ და იმათ გადაეცეთ ვინც მიწას საჭიროებსო". ამასვე ამოწმებს სოფ. ტობანიერის ოცის თავის — კომისარ დიმიტრი მეგენეიშვილისადმი გაგზავნილ პასუხში.

აი, სხვათა შორის რასა სწერს ოცისთავი. „დღეს გაიმარჯვა მუშათა კლასმა და სამუშაო მიწაც მის ხელში უნდა გადავიდეს. ყოველ შემთხვევაში მუშები დაექვემდებარებიან ქუთაისის მუშათა საბჭოს ბრძანებასო". ასეთი ცნობები იმერეთის სხვა სოფლებიდანაც მოგვდის. იმ დროს, როდესაც ქვეყანას შიმშილის აჩრდილი თავს დასტრიალებს და არსაიდან ხსნას არ ველით ხალხი თავის არსებობის პირდაპირ მოვალეობას, ხნათესვას, გვერდს უვლის და ერთმანეთში კინკლაობს. უმიწო მუშას მიწა სჭირია, მაგრამ ცხადია მტაცებლობით მას ვერ შეიძენს. კერძო საკუთრება დაცული უნდა იქნეს, ამას მოითხოვს, ახალი რევოლიუციური მთავრობა. ცხადია ისიც, რომ მიწის საქმის მოგვარებას სოფლელები ვერ შესძლებენ, მხოლოდ ამ კინკლაობით საერთო საქმესავნებენ. მომავალი დამფუძნებელი კრება შეუდგება მიწის კითხვას მოგვარებას და მას შეუძლია ამ ძნელი საქმის საბოლოოთ გადაჭრა. საჭიროა ეს გაითვალისწინოს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის მცხოვრებლებმა და მიწების მუყაითად დამუშავება განაგრძოს. საჭიროა ხალხის გულშემატკივრებმა ზომები მიიღონ და სოფლის მცხოვრებთ შეაგნებინონ, რომ მათთვის დღეს აუცილებელია გარკვეცებული მუშაობა, რადგან შიმშილი კარს არის მომდგარი. საჭიროა ამ საგანზეც სათანადო განმარტება მისცეს მიწის მუშებს ქალაქების მუშათა დეპუტატების საბჭოებმაც.

Ser.

*) ყველა საბუთები რედაქციაში ინახება.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთი „ჩვენი ქვეყნის" უახლოებელეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩემს საპასუხო წერილს: გაზეთ „სამშობლოს" სააღდგომო ნომერში (№ 586) მოთავსებულია ქუთაისის მუშათა კომიტეტის სახელზე წერილი ჩემთვის უცნობ ვინმე მუშა ვანო მესხიშვილისა, რომელიც ხსენებულ წერილში სწერს, ვითომ მე და აბგარ ივანეს ძე კარაევს და ზოგიერთ მუშებთ, განსაკუთრებული სასყიდლით ჩავსწერეთ იმ მუშების სიაში, რომელნიც სახელმწიფო ბეგარისაგან განთავისუფლებულნი არიან, როგორც სახელმწიფოს თავდაცვისათვის მომუშავენი. ავტორი კომიტეტს სთხოვს, ჩვენ სამსახურიდან დათხოვნილნი ვიყოთ, როგორც ხალხის მსარცველი, და ფულიც დაუბრუნონ მუშებს.

ვთხოვ ბ. ვანო მესხიშვილს მისი სიტყვების დასამტკიცებლად და საქმის ვითარების ყოველის მხრით გამოსარკვევად დაუფარავად დაასახელოს ის მუშები, რომლებისთვის მე ვითომ ჩაწერისათვის ფული გამომერთმიოს და ხოლოდ მაშინ გავცემ ჯეროვან პასუხს და სრულიათ იმედიც მაქვს, რომ მას ჩემი ცილის წამებისათვის აგრეთვე გასცემს პასუხს ბევრი სხვა მუშა, რომელთა წინაშე ამ ცხრამეტი წლის სამსახურის განმავლობაში, ჩემის სწორით, რაც კი ვისიმე ჩემზე დამოკიდებული იყო, გარდა სიკეთისა არაფერი ცუდი არ მიმიძღვის.

**ლავრენტი მიქელაძე.**

1917 წ. 5 აპრილი.

ქ. ქუთაისი.

რედაქტორ გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


## რკინისგზის [illegible]

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურიდან | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

## ქირავდება

ორ სართულიანი სახლი დიდი ეზოთი, სასწავლებლისთვის ან სხვა რაიმე დაწესებულებისათვის. იურჩენკოს ქუჩა. წონავა 4—2.

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაში პირველ აპრილიდან

## გაიხსნა

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$ — 2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საატესტატო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: კაზაკოვის და გენერლის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის № 15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საათამდე. მასწავლებელი ა. ზ. თელია. თ. 5

## ავათმყოფნი სუსუნატით.

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამ ჟამათ გამოგონილია პროფ. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყობთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი**, პროფესორ **მორნისა**. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი. **ბლენიოზოლი** ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით,ვალდებული არიან იხმარონ **ბლენიოზოლი**, როგორც ერთად ერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილი სნეულება მეორეთ აღარ განახლდება, კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში. ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში,** გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 3 მ. და 50 კ. სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი. **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე, წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი ურდგულესი **ი. ნ. კოლეგოვი.**

ტრსკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)


სტამბა „ძმობა" პუშკინ-... ...ელლოვისა